დასკვნა:**დ03. 3724205001**
თარიღი:**23/07/2024**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ

მიმდინარე წლის 23 ივლისს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N20 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 37 750,0 ათ. ლარი. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრა 73 758,0 ათასი ლარით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა გასული წლის გარდამავალი ნაშთის გარეშე შეადგინა 32 282,0 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 51,4%-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 33 002,1 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 44,7%-ია.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ დაფინანსებამ 17 104,7 ათ. ლარი შეადგინა(წლიური გეგმის 44,2%); საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსება წლიური გეგმის მიმართ 52,2%-ითაა განსაზღვრული, ხოლო სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები 6 თვეში დაფინანსებულია წლიური გეგმის 37,4%-ით.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 75,3 ათ. ლარი.

კომისიამ იმსჯელა 2024 წლის მეორე კვარტალის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შესრულების პროცესი ხასიათდება სტაბილურობით, რაც შესაბამისად პროპორციულად აისახება საბიუჯეტო ხარჯების დინამიკაში. აღნიშნული კი

საფუძველს ქმნის წარმატებით შესრულდეს წლიური გეგმა. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი